# ადამიანის უფლებათა დარღვევების დოკუმენტირების პრაქტიკული სახელმძღვანელო

# ადამიანის უფლებათა დარღვევების დოკუმენტირების პრაქტიკული სახელმძღვანელო

*„თუ ფაქტი დოკუმენტირებული არ არის,*

*ჩათვალე, რომ ის არც მომხდარა“*

**თბილისი**
**2025**

სახელმძღვანელო შემუშავებულია HURIDOCS-ის (ადამიანის უფლებების საინფორმაციო და დოკუმენტაციის სისტემები), ბერკლის პროტოკოლის, ადამიანის უფლებათა არსებითი დარღვევების სამოქალაქო მონიტორინგის სახელმძღვანელოს და სხვა საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით.

ავტორი: თამარ გურჩიანი

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

---

*© 2025, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია*

# სარჩევი


შესავალი ..... 4

დოკუმენტირების ძირითადი კომპონენტები ..... 4

6 მთავარი კითხვა, რომლებიც უნდა დაისვას ადამიანის
უფლებათა დარღვევების სათანადო დოკუმენტირებისთვის ..... 5

მტკიცებულებები, რომლებიც შეიძლება
გამოყენებული იყოს დოკუმენტირების პროცესში ..... 7

მოპოვებული ინფორმაციის ვერიფიკაცია და დადასტურება ..... 7

ინფორმაციის კლასიფიკაცია და კატეგორიზაცია ..... 10

შეგროვებული მონაცემების ანალიზი ..... 10

დოკუმენტირების ძირითადი ეთიკური პრინციპები ..... 11

ინფორმაციის ღია წყაროებთან მუშაობის ეთიკური
პრინციპები ბერკლის პროტოკოლის მიხედვით ..... 12

ინფორმაციის დაცვის ზომები ..... 14

ადამიანის უფლებათა დარღვევების
დოკუმენტირება ტექნოლოგიების მეშვეობით ..... 16

დოკუმენტირების დაწყება და მისი ეტაპები ..... 17

ინტერვიუს ჩატარება ეთიკური ნორმების დაცვით ..... 19

ძალადობის მსხვერპლთან ინტერვიუ ..... 22

რა უნდა გააკეთოს მკვლევარ-დოკუმენტალისტმა
ინფორმირებული თანხმობის მოსაპოვებლად? ..... 24

ინფორმაციის შენახვა ..... 25

ინფორმაციის გამოყენება ..... 26

დანართი №1 – ინფორმირებული თანხმობის ფორმა ..... 27

დანართი №2 – ბიბლიოგრაფია/დამატებითი რესურსები ..... 29

## შესავალი

ნებისმიერი მკვლევარ-დოკუმენტალისტი უნდა მოქმედებდეს პრინციპით: „თუ ფაქტი დოკუმენტირებული არ არის, ჩათვალე, რომ ის არც მომხდარა“. ეს პრეზუმფცია გვეხმარება, მაქსიმალური სიფრთხილით და სიზუსტით მივუდგეთ ადამიანის უფლებების ნებისმიერი დარღვევის აღწერას, შესაბამისი ფაქტების დადგენას, საჭირო მტკიცებულებების შეკრებას და მომხდარის ისე წარმოდგენას, რომ არ დაზიანდეს ის, ვისაც დოკუმენტირება ემსახურება - ადამიანის უფლებების დარღვევით უშუალოდ დაზარალებული ადამიანი ან ამ დარღვევის შემსწრე.

## დოკუმენტირების ძირითადი კომპონენტები

ადამიანის უფლებათა დარღვევების დოკუმენტირება გულისხმობს დაზარალებულთა ისტორიების აღბეჭდვას, შენახვას და გაზიარებას, რათა მათ შეძლონ საკუთარი უფლებების აღდგენა და მიყენებული ზიანისთვის კომპენსაციის მიღება. ასევე, ამ პროცესმა საბოლოოდ უნდა უზრუნველყოს დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემა მათ მიერ ჩადენილი ქმედებებისთვის. გარდა ამისა, დოკუმენტირების მიზანია, დაზარალებულებმა თავად შეძლონ თავს გადახდენილი ისტორიის კონტროლი, ხოლო ფართო საზოგადოებამ დამახინჯებისგან დაიცვას წარსული მოვლენების შესახებ კოლექტიური მეხსიერება, სოლიდარული იყოს დაზარალებულების მიმართ და თავიდან აიცილოს მომავალში ადამიანის უფლებათა მსგავსი ან სხვა დარღვევები.

ადამიანის უფლებათა დარღვევების დოკუმენტირება არა მხოლოდ მსხვერპლებსა და მოწმეებს, არამედ მთელ საზოგადოებას ემსახურება. სათანადოდ განხორციელებული დოკუმენტირება საზოგადოების ყველა წევრს ეხმარება, დაიცვას საკუთარი ისტორია, ისწრაფოდეს სამართლიანობის აღდგენისკენ და იმუშაოს შემდგომი დარღვევების თავიდან ასაცილებლად.

ადამიანის უფლებათა დარღვევების დოკუმენტირება გულისხმობს მონაცემების შეგროვებისას ყოვლისმომცველი და ინკლუზიური მიდგომის გამოყენებას. ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს მოწმეთა და მსხვერპლთა ჩვენებებს, ადამიანის უფლებათა დამცველი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებს, ოფიციალურ

დოკუმენტებს და ისეთ მულტიმედიურ წყაროებს, როგორებიცაა ფოტოები ან ვიდეოები. **დოკუმენტირებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ინფორმაციის მრავალფეროვანი წყაროებიდან შეგროვება.** ეს მიდგომა მკვლევარ-დოკუმენტალისტებს საშუალებას აძლევს, ჯვარედინად გადაამოწმონ წყაროები და შეამცირონ მიკერძოების ან არასწორი ინფორმაციის მიღების რისკი. დაზარალებულთა და მოწმეთა ჩვენებები ადამიანის უფლებების კვლევაში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს. *„ისინი თითქოს მომხდარი საშინელებების ტექნიკურ აღწერაში აბრუნებენ ადამიანს, როგორც სუბიექტს და ამით ადამიანის უფლებათა ანგარიშებს იცავენ მეტისმეტად ტექნოკრატიული ცოდნის ჩარჩოებში მოქცევისგან; ამ ჩვენებებს აქვს როგორც მტკიცებულებითი, ისე თერაპიული ღირებულება; გარდა ამისა, ისინი იწვევს ემოციურ რეაქციებს, რაც მკითხველს უბიძგებს, რეალურ ქმედებაზე გადავიდეს“.*[1]

## 6 მთავარი კითხვა, რომლებიც უნდა დაისვას ადამიანის უფლებათა დარღვევების სათანადო დოკუმენტირებისთვის

ადამიანის უფლებების დარღვევათა დოკუმენტირებისთვის მკვლევარ-დოკუმენტალისტები იყენებენ იმავე მოდელს, რომელსაც ჟურნალისტები ან მონაცემთა ანალიტიკოსები და მას Five Ws and H[2] მოდელი ეწოდება. ამ მოდელის მიხედვით, მომხდარის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის შესაგროვებლად საჭიროა, პასუხი გაეცეს შემდეგ ძირითად კითხვებს: **ვინ, რა, როდის, სად, რატომ და როგორ?**

| **ვინ?** |
| --- |
| ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გვეხმარება მომხდარში მონაწილე პირების იდენტიფიცირებაში. ისინი შეიძლება იყვნენ მსხვერპლები, დამნაშავეები, მოწმეები და ა.შ. მკვლევარ-დოკუმენტალისტმა ამ კითხვაზე პასუხად უნდა შეაგროვოს შემდეგი ინფორმაცია: მომხდარში მონაწილე ადამიანების სახელები და გვარები, მათი ასაკი, სქესი, ეთნიკური, ასევე, სხვა ჯგუფებისადმი კუთვნილება და ა.შ. |

[1] What One Sees and How One Files Seeing: Human Rights, Representation and Action, Claire Moon https://www.researchgate.net/publication/258188838_What_One_Sees_and_How_One_Files_Seeing_Human_Rights_Reporting_Representation_and_Action1.

[2] 5 W ანუ who, what, when, where, why და ერთი H ანუ how, ასევე ცნობილია, როგორც 5W1H სტრატეგია.

| |
|---|
| **რა?** |
| ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გვეხმარება ფაქტთან დაკავშირებული კონკრეტული ქმედებების, მოვლენების, სიტუაციებისა და საგნების იდენტიფიცირებაში, მომხდარის დეტალურ და ზუსტ აღწერაში. მკვლევარ-დოკუმენტალისტს ეს კითხვა საშუალებას აძლევს, განსაზღვროს საკუთარი კვლევის მასშტაბი და მიზანი. |
| **როდის?** |
| მომხდარის თარიღი და დრო. რამდენიმე მოვლენის შემთხვევაში, უნდა შეიქმნას მათი კალენდარი. |
| **სად?** |
| ეს კითხვა გვეხმარება, კარგად შევაფასოთ კონტექსტი და გარემო, სადაც ადამიანის უფლებათა დარღვევა მოხდა. ამ კითხვაზე პასუხის გაცემის შედეგად, მკვლევარ-დოკუმენტალისტს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია ზუსტი ადგილმდებარეობის შესახებ (სოფლის, ქალაქის, დასახლების სახელწოდება, GPS კოორდინატები, ახლომდებარე ღირსშესანიშნაობები). სწორედ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეძლებს მკვლევარ-დოკუმენტალისტი მომხდარის ზუსტი ლოკაციის დადგენას. |
| **რატომ?** |
| რას ისახავდა მიზნად ეს ქმედება? (მაგალითად, პოლიტიკური, ეთნიკური, გენდერული მოტივი). მკვლევარ-დოკუმენტალისტი უნდა შეეცადოს, დაადგინოს ქმედების მიზეზი და მოიკვლიოს მისი შესაძლო ახსნა. |
| **როგორ?** |
| ეს კითხვა ორიენტირებულია მომხდარ დარღვევაში გამოყენებული სტრატეგიების, ინსტრუმენტების, ჩართული პირებისა და მეთოდების შესახებ ინფორმაციის შეგროვებაზე. |

ამ მოდელის გამოყენება მარტივია. ის არ ტოვებს ბუნდოვანებას კვლევის პროცესში და მკვლევარ-დოკუმენტალისტი ყოვლისმომცველ ინფორმაციას ფლობს. ეს მეთოდი ასევე ზოგავს დროს და რესურსებს, რადგან სწრაფად ხდება იმ არეალების იდენტიფიცირება, სადაც ინფორმაციის დანაკლისია და, შესაბამისად, შევსება აუცილებელია.

## მტკიცებულებები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს დოკუმენტირების პროცესში

დოკუმენტირების პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს მტკიცებულებათა მრავალფეროვნებას, ისევე, როგორც ინფორმაციის ჯვარედინ გადამოწმებას სხვადასხვა წყაროსთან. მკვლევარ-დოკუმენტალისტმა შეიძლება შეაგროვოს შემდეგი მტკიცებულებები:

- ინტერვიუები მსხვერპლებსა და მოწმეებთან;
- აუდიო ან წერილობითი ჩანაწერები მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის გარეშე;
- მულტიმედიური მტკიცებულებები;
- ფოტოები/ვიდეოები სანდო წყაროებიდან (თარიღი, დრო, განმთავსებლის შესახებ ინფორმაცია);
- მეტამონაცემები, როცა მათი მოპოვება შესაძლებელია (მაგალითად, ფოტო/ვიდეო კამერის შესახებ ინფორმაცია, დროის შტამპი).
- ინტერნეტში გამოქვეყნებული პოსტების „სქრინშოთები“ ორიგინალ ბმულებთან ერთად;
- ოფიციალური დოკუმენტები (მაგალითად, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გაგზავნილი წერილები, შეტყობინებები);
- საპოლიციო ან სასამართლო მასალები;
- გარდაცვალების მოწმობები, სამედიცინო ჩანაწერები;
- ხელისუფლების განცხადებები, ადმინისტრაციული აქტები;
- საჯაროდ ხელმისაწვდომი მასალა;
- სოციალური მედიის პოსტები;
- სატელიტური გამოსახულებები;
- სანდო წყაროებიდან მოპოვებული ახალი ამბები.

## მოპოვებული ინფორმაციის ვერიფიკაცია და დადასტურება

მოპოვებული ინფორმაციის სანდოობა დგინდება ჯვარედინი გადამოწმებით, ანგარიშებისა და ჩვენებების ავთენტურობის გამოკვლევით, დამოუკიდებელი საშუალებებით ფაქტების დადასტურებით. ეს მეთოდი საგამოძიებო ჟურნალისტიკაში რუტინულად გამოიყენება და გულისხმობს ფაქტების გადამოწმებას რამდენიმე წყაროსთან.

მისი მიზანია შეუსაბამობების გამოვლენა, დეტალების შედარება, მომხდარის შესახებ უკვე არსებული დასკვნების კრიტიკული გადახედვა. პირველადი ინფორმაციის მოპოვების, წყაროების იდენტიფიცირების და მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის შედარების შემდეგ გამომძიებელი ჟურნალისტი ეძებს შესაძლო ცდომილების და მიკერძოების წყაროს, ასევე, იკვლევს ინტერესთა კონფლიქტის ალბათობას, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მიღებულ ინფორმაციაზე.[3]

ვერიფიკაციისთვის შეიძლება აგრეთვე ჩაიწეროს ინტერვიუები, ტექნიკურად შემოწმდეს მტკიცებულებები და ციფრული მასალა, განხორციელდეს სურათების ან ვიდეოების ანალიზი. ეს პროცესი ხელს უწყობს მონაცემების სანდოობას, განსაკუთრებით იმ შემთხვევებისთვის, როდესაც სამომავლოდ ისინი შეიძლება გამოყენებული იყოს სასამართლოსა ან საერთაშორისო ორგანიზაციებში წარსადგენად.

HURIDOCS-ის (ადამიანის უფლებების საინფორმაციო და დოკუმენტაციის სისტემები) დოკუმენტირების მეთოდოლოგიის მიხედვით, მოპოვებული ინფორმაციის ვერიფიკაცია უნდა განხორციელდეს შემდეგნაირად:

- ფაქტების ჯვარედინი გადამოწმება რამდენიმე დამოუკიდებელ წყაროსთან;
- ერთი და იმავე მოვლენის შესახებ სხვადასხვა თვითმხილველის ისტორიის ერთმანეთთან შედარება;
- სურათების და ვიდეოების შემოწმება უკუძიების სისტემების[4] გამოყენებით;
- დროის შტამპის და გეოლოკაციის მონაცემების გამოყენება იმის დასადასტურებლად, როდის/სად არის გადაღებული ფოტო ან ვიდეო;
- ტრიანგულაციის მეთოდის გამოყენებით ზუსტი ადგილმდებარეობის განსაზღვრა სატელიტური გამოსახულებების, რუკის ან ამინდის მონაცემებით.

იმისათვის, რომ გაიზარდოს დოკუმენტირების სანდოობის ხარისხი, მკვლევარ-დოკუმენტალისტმა აუცილებლად უნდა აღწეროს ვერი-

[3] Delbert. 2022. Techniques for Verifying and Fact-Checking Information in Investigative Work. https://cpijournalism.org/reporting-verification-fact-checking/.

[4] **MilLab** - მედია და ინფორმაციული წიგნიერების ლაბორატორიის ონლაინ პლატფორმა. ფოტო მანიპულაცია, https://millab.ge/ka/.

ფიკაციისა და ანალიზის პროცესიც. პირველი/ორიგინალი წყაროს იდენტიფიცირება და ლოკალიზება მნიშვნელოვანია, მიუხედავად ინფორმაციის ფორმისა და შინაარსისა. ამის შემდეგ საჭიროა მისი ფართო კონტექსტში ჩასმა და იმის შემოწმება, რამდენად ეკუთვნის ის ამ კონტექსტს. ვერიფიკაციის სახელმძღვანელოს მიხედვით, სასურველია, მკვლევარ-დოკუმენტალისტმა გაითვალისწინოს ეს რჩევა: *„როცა შესაძლებელია, დაუსვი წყაროს კითხვები, რომლებსაც შენივე კვლევასთან ჯვარედინად გადაამისამართებ. ყოველთვის მოიპოვე თანხმობა ინფორმაციის გამოყენებაზე მისი ავტორისა ან პირველწყაროსგან. ფოტოების ან ვიდეოების გამოყენებისას გაიაზრე ის რისკები, რომელთა წინაშეც შეიძლება დადგნენ ადამიანები კამერის წინ ან კამერის უკან. ყოველთვის ჰატივი ეცი პრინციპს „არ ავნო“.*[5]

*ინფორმაციის ვერიფიკაციის სტანდარტები*

მკვლევარ-დოკუმენტალისტმა უნდა იფიქროს იმ ინსტიტუტებზე, რომლებმაც შეიძლება მის მიერ მოპოვებული და დამუშავებული ინფორმაცია გამოიყენონ. მედია, სასამართლო და სამოქალაქო ჯგუფები მონაცემების ვერიფიკაციის საკუთარ სტანდარტებს მიმართავენ. ჟურნალისტებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაცია, რომელსაც მათ მკვლევარ-დოკუმენტალისტი მიაწოდებს, იყოს დამოწმებადი, სრული და მიუკერძოებელი, ასევე, შეიძლებოდეს მისი გამოქვეყნება და არსებობდეს მის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესი. სასამართლოსთვის კი რელევანტურია მასალა, რომელიც 100%-ით სანდოა, ეჭვს არ იწვევს მისი ნამდვილობა და ცნობილია პირველწყაროც. გასათვალისწინებელია, რომ სასამართლოს სტანდარტის დაკმაყოფილება რთულია. რაც შეეხება სამოქალაქო ჯგუფებს, ინფორმაციის დამოწმებადობა და სანდოობა ასევე აუცილებელია, თუმცა ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, როგორ მოხდა მისი მოპოვება, ანუ ამ პროცესში დაცული იყო თუ არა ადამიანის უფლებათა დარღვევის დოკუმენტირების ეთიკური სტანდარტები.

[5] Silverman, Craig, and Merill Perlman. 2014. *Verification Handbook*. Available at https://library.witness.org/product/obtaining-informed-consent/.

## ინფორმაციის კლასიფიკაცია და კატეგორიზაცია

HURIDOCS-ის (ადამიანის უფლებების საინფორმაციო და დოკუმენტაციის სისტემები) დოკუმენტირების მეთოდოლოგიის მიხედვით, ინფორმაციის შეგროვების შემდგომი ნაბიჯია მისი სისტემური ორგანიზება და კლასიფიკაცია, რათა ის ადვილად ხელმისაწვდომი იყოს. სასურველია  კოდირების სისტემის ან კატეგორიზაციის მექანიზმის გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემების ორგანიზებას სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით, როგორებიცაა, მაგალითად, დარღვევის ტიპი, გეოგრაფიული მდებარეობა, მომხდარის თარიღი და მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია (მაგალითად, ასაკი, სქესი, ეთნიკური კუთვნილება). ეს პროცესი ეხმარება მკვლევარ-დოკუმენტალისტებს და ადვოკატებს დიდი მოცულობის მასალების ეფექტიან ნავიგაციასა და კანონზომიერებების ან ტენდენციების სწრაფ იდენტიფიცირებაში. ეს მიდგომა ასევე არსებითია ინფორმაციის ერთგვაროვნებისა და შედარებადებისთვის. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ მონაცემთა ბაზის ეფექტიანი მართვა ასევე გულისხმობს სარეზერვო ასლების (back-up) სისტემების არსებობას ინფორმაციის დაკარგვის თავიდან ასაცილებლად.

## შეგროვებული მონაცემების ანალიზი

დოკუმენტირების კრიტიკული კომპონენტია შეგროვებული მონაცემების ანალიზი. მკვლევარ-დოკუმენტალისტებს შეუძლიათ ნიმუშების და ტენდენციების იდენტიფიცირება.  სისტემური პრობლემების მონაცემთა ანალიზის პროცესი ობიექტური უნდა იყოს. **მკვლევარ-დოკუმენტალისტები უნდა შეეცადნენ, თავიდან აიცილონ ნებისმიერი სახის გაზვიადება ან მიკერძოება.** მათ უნდა ახსოვდეთ, რომ ობიექტური ანალიზი არსებითად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით იმიტომ, რომ მოპოვებული ინფორმაცია მომავალში შეიძლება გამოყენებული იყოს სასამართლოში. ანალიზისა და ვერიფიკაციის შემდეგ, მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს მკაფიო და მისაწვდომი ფორმატით. მათი ვიზუალიზაცია შეიძლება გულისხმობდეს წერილობით ანგარიშებს, ინტერაქციულ პანელებს, რუკებს და ინფოგრაფიკებს, რომლებიც სხვადასხვა აუდიტორიაზეა გათვლილი. უმნიშვნელოვანესია, რომ ეს მასალები იყოს გასაგები, ხოლო მათი გამოყენება - მოსახერხებელი. მკვლევარ-დოკუმენტალისტი ასევე მზად უნდა იყოს ინფორმაციის ისე გადასამუშავებლად, რომ, წყაროების ან მგრძნობიარე ინფორმაციის დაცვის მიზნით, მისი ნაწილი დაიფაროს. ეს შე-

იძლება საჭირო გახდეს მაშინ, როდესაც კვლევა ჯერ კიდევ მიმდინარეა, ან, თუ ადამიანები, რომლებსაც ეს კვლევა ეხება, მათი იდენტიფიცირების გამო, განსაკუთრებული რისკის წინაშე დადგებიან ანგარიშის გამოქვეყნებით ან მესამე პირებისთვის გადაცემით, თუნდაც გარანტირებული იყოს მისი კონფიდენციალურობა.

მონაცემთა დამუშავებისთვის აუცილებელი ყველა საჭირო უნარი მკვლევარ-დოკუმენტალისტებს, ცხადია, არ ექნებათ. შესაბამისად, მათ აუცილებლად დასჭირდებათ დახმარება, განსაკუთრებით, ტექნიკური ექსპერტიზის და შესაბამისი ცოდნის მქონე სანდო ადამიანებისგან.

## დოკუმენტირების ძირითადი ეთიკური პრინციპები

პირველი ძირითადი ეთიკური პრინციპი, რომელიც მკვლევარ-დოკუმენტალისტებმა უნდა დაიცვან, არის ზიანის თავიდან აცილება, ანუ „არ ავნო“ მიდგომა. ეს თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც სამედიცინო და ჰუმანიტარულ საქმიანობაში, ისე ჟურნალისტიკაში. ადამიანის უფლებათა დარღვევების დოკუმენტირების პროცესში ისინი ყოველთვის უნდა დარწმუნდნენ, რომ მათი საქმიანობა დამატებითი რისკის წინაშე არ აყენებს ადამიანებს არც ფიზიკურად და არც ემოციურად. „არ ავნო“ პრინციპი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს იმას, რომ მკვლევარ-დოკუმენტალისტის ქმედებამ არასდროს საფრთხე არ უნდა შეუქმნას მსხვერპლებისა ან მოწმეების სიცოცხლეს და უსაფრთხოებას.

მეორე უმნიშვნელოვანესი პრინციპი არის კონფიდენციალურობის დაცვა. ისეთ ციფრულ მასალასთან მუშაობისას, როგორებიცაა ფოტოები ან ვიდეოები, მკვლევარ-დოკუმენტალისტებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები ანონიმურობის დასაცავად, რათა თავიდან აიცილონ ჩართული პირებისთვის ზიანის მიყენება. დოკუმენტირების პროცესში ყოველთვის განუხრელად უნდა იყოს დაცული პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული კანონმდებლობა და კონფიდენციალურობის პოლიტიკა. ეს პრინციპი აგრეთვე გულისხმობს მკვლევარ-დოკუმენტალისტებისა და ორგანიზაციის მხრიდან იმ პირთა ვინაობის საიდუმლოდ შენახვას, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად, ექსპლიციტურად არ დათანხმდებიან საკუთარი ვინაობის გამჟღავნებას.

დოკუმენტირების პროცესში მნიშვნელოვანია მსხვერპლების, მოწმეების ღირსებისა და პირადი ცხოვრების პატივისცემა. ეს, პირველ

ყოვლისა, გულისხმობს მათ სრულად გააზრებულ მონაწილეობას. ამის დადასტურება კი შესაძლებელია მათგან ინფორმირებული თანხმობის მიღებით. მკვლევარ-დოკუმენტალისტმა რესპონდენტს ყოველთვის უნდა აუხსნას მისი როლი და ჰკითხოს, კომფორტულად გრძნობს თუ არა თავს ინფორმაციის გაზიარებისას. მისი მიდგომა ძალადობაგამოვლილ ადამიანებთან კომუნიკაციისას უნდა ეფუძნებოდეს მათ მიერ მიღებული ტრავმის მიმართ მგრძნობელობას. მან არ უნდა უბიძგოს მსხვერპლს, მოჰყვეს მატრავმირებელი მოვლენები, ხოლო, თუ შესაძლებელია, ყოველთვის გადაამისამართოს ის მხარდაჭერის სერვისებზე.

## ინფორმაციის ღია წყაროებთან მუშაობის ეთიკური პრინციპები ბერკლის პროტოკოლის მიხედვით

კალიფორნიის უნივერსიტეტის (UC Berkley) სამართლის სკოლის ადამიანის უფლებათა ცენტრმა  და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისმა 2022 წელს გამოაქვეყნეს ბერკლის პროტოკოლი ციფრული ღია წყაროების მეშვეობით მოკვლევის ჩატარების შესახებ. ეს არის პრაქტიკული სახელმძღვანელო საერთაშორისო სისხლის სამართლის, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების ეფექტიანად გამოძიებისთვის.[6] ბერკლის პროტოკოლის მიხედვით, მკვლევარ-დოკუმენტალისტები ვალდებულნი არიან, მუშაობის პროცესში დაიცვან შემდეგი ეთიკური პრინციპები:

### ღირსება

ადამიანის უფლებათა დარღვევების დოკუმენტირების პროცესში აუცილებელია ყველა მონაწილის თანდაყოლილი უფლებების, მათი უსაფრთხოების დაცვა და პატივისცემა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. მკვლევარ-დოკუმენტალისტებმა უნდა დაიცვან დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპები, რათა გამოსაძიებელი დარღვევების მიმართ არ ჰქონდეთ განსხვავებული მიდგომა რაიმე ნიშნის მიხედვით.

[6] OHCHR and Human Rights Center, University of California, Berkeley. 2022. Berkeley Protocol on Digital Open-Source Investigations: A Practical Guide on the Effective Use of Digital Open-Source Information in Investigating Violations of International Criminal, Human Rights and Humanitarian Law. https://www.ohchr.org/en/publications/policy-and-methodological-publications/berkeley-protocol-digital-open-source.

დოკუმენტირების პროცესში მიღებული უნდა იყოს შესაბამისი ზომები მოწმეების, გადარჩენილების, მკვლევარ-დოკუმენტალისტების და სხვა ჩართული პირების ციფრული, ფიზიკური და ფსიქოსოციალური უსაფრთხოების დასაცავად.

ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა ტანჯვის ან ძალადობის ამსახველი მასალები, უნდა გავრცელდეს გონივრული დოზით და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში, შემდგომი ზიანის თავიდან ასაცილებლად.

**თავმდაბლობა**

მკვლევარ-დოკუმენტალისტებმა უნდა გააცნობიერონ თავიანთი ადამიანური შესაძლებლობების ლიმიტები და უნდა იცოდნენ, რა არ იციან. ღია წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის ზუსტი ინტერპრეტაციისთვის, შესაძლოა, საჭირო გახდეს სპეციალიზებული ტრენინგი ან ექსპერტთან კონსულტაცია.

ბერკლის პროტოკოლის მიხედვით, დოკუმენტირების პროცესში შეცდომის დაშვების შემთხვევაში, შესაძლო ზიანის შესამცირებლად, ის უნდა გამოსწორდეს, ან პროცესში ჩართულმა პირებმა ამის შესახებ განაცხადონ.

**ინკლუზიურობა**

კვლევა უნდა მოიცავდეს მრავალფეროვან პერსპექტივებსა და გამოცდილებას, ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა გეოგრაფიული მასშტაბი და ხარისხიანი ინფორმაციის ფლობის ასიმეტრია.

მკვლევარ-დოკუმენტალისტთა ჯგუფი უნდა იყოს მრავალფეროვანი, მათ შორის, გენდერულად დაბალანსებული. იმავდროულად, გათვალისწინებული უნდა იყოს ონლაინ მონაცემებზე არათანაბარი ხელმისაწვდომობა.

ინკლუზიურობა და ღირსება გავლენას ახდენს იმაზე, რა მასალები გროვდება და  გამოიყენება, ასევე, როგორ არის ისინი წარმოჩენილი სამართლიანობისა და პატივისცემის უზრუნველსაყოფად.

**დამოუკიდებლობა**

მკვლევარ-დოკუმენტალისტებმა თავიანთი სამუშაო უნდა დაიცვან არასათანადო გავლენისგან და გამოავლინონ ან თავიდან აიცილონ ინტერესთა კონფლიქტი. თუ ამის თავიდან არიდება შეუძლებელია, მიღებული უნდა იყოს დამცავი ზომები მათ შესამცირებლად. მეთოდების, პროცესებისა და დაფინანსების გამჭვირვალობა ხელს უწყობს კვლევის როგორც ფაქტობრივი, ისე აღქმული დამოუკიდებლობის შენარჩუნებას.

**გამჭვირვალობა**

ანგარიშვალდებულების პრინციპი მკვლევარ-დოკუმენტალისტებისგან ითხოვს მათი მეთოდებისა და შედეგების ღიაობას. გამჭვირვალობის ეთიკური პრინციპი არეგულირებს მათ ქცევას ონლაინ და გარე სამყაროში. მათ თავი უნდა აარიდონ მონაცემების დამახინჯებას (მაგალითად, ყალბი ანგარიშების გაკეთება) და სიფრთხილე გამოიჩინონ უსაფრთხოების მიზნით შექმნილი ვირტუალური პროფილების გამოყენების დროს, რადგან ამან შეიძლება ზიანი მიაყენოს მათი კვლევის სანდოობას და რეპუტაციას, ასევე, „დააბინძუროს“ შეგროვებული მასალები. არასწორი მეთოდებით ინფორმაციის მოპოვებამ, შესაძლოა, დაარღვიოს იმ პირის პირადი ცხოვრების უფლება, რომელთანაც ხდება ინტერაქცია, ასევე, შეიძლება დააზიანოს გამოძიების/კვლევის პროცესი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ასეთი ქმედება კანონს ეწინააღმდეგება.

## ინფორმაციის დაცვის ზომები

ადამიანის უფლებების დარღვევების დოკუმენტირება შეიძლება ძალიან რთული და სარისკო იყოს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ადამიანის უფლებებზე მომუშავე ჯგუფები ხელისუფლების მტრული ჩარევის სამიზნეები მარტივად ხდებიან. იმისთვის, რომ მკვლევარ-დოკუმენტალისტების მუშაობა დაზღვეული იყოს რისკებისგან, საჭიროა:

- უსაფრთხო კომუნიკაციის სისტემების (მაგალითად, Signal, ProtonMail) გამოყენება;
- მგრძნობიარე მონაცემების დაშიფვრა (მაგალითად, VeraCrypt-ის გამოყენებით);

- არაავტორიზებულ მხარეებთან მონაცემების გაზიარებისგან სრული თავშეკავება;
- ციფრული თვალთვალის პრაქტიკის გათვალისწინება, განსაკუთრებით, რეპრესიულ გარემოში;
- დაუცველ მოწყობილობებსა ან სხვებისთვის ხელმისაწვდომ ადგილებში ფაილების შენახვის თავიდან აცილება.

ინფორმაციის შეგროვების სხვადასხვა ტექნოლოგიური მექანიზმი არსებობს. ყურადღებით უნდა შეფასდეს თითოეული მათგანის დადებითი და უარყოფითი მხარეები. მონაცემთა დაშიფვრის მეთოდი შეუძლებელს ხდის არაავტორიზებული პირისთვის მათზე წვდომას და წაკითხვას. მკვლევარ-დოკუმენტალისტები ამ მეთოდს იყენებენ ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. დაშიფვრის ყველა ინსტრუმენტი სანდოობის ერთნაირი ხარისხით არ ხასიათდება.

დოკუმენტირების გარდა, შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ინფორმაციის დამადასტურებელი მასალების - „მეტამონაცემების“ შეგროვება. ეს არის ინფორმაცია ინფორმაციის შესახებ, რომელიც მკვლევარ-დოკუმენტალისტს ეხმარება იმის დადგენაში, ვინ, სად და როდის გადაიღო ესა თუ ის მასალა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ იგეგმება ამ ინფორმაციის სასამართლოში წარდგენა მტკიცებულების სახით.

ინფორმაციის სათანადოდ მოპოვებას და დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, თუკი ის შეიძლება გამოყენებული იყოს სისხლის სამართლის საქმეში. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მიხედვით, *„ბრალდებულს უფლება აქვს, საკუთარი ხარჯით, თვითონ ან/და ადვოკატის დახმარებით, მოიპოვოს მტკიცებულება. ბრალდებულის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებას ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულების თანაბარი იურიდიული ძალა აქვს“.*[7] სისხლის სამართლის პროცესში ამ უფლების გამოყენებას შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს, ამიტომ, მკვლევარ-დოკუმენტალისტი უნდა დარწმუნდეს, რომ ასეთი მტკიცებულებები საქმეში ჩართული მხარეების მიერ კანონის შესაბამისად არის მოპოვებული. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის სახელმძღვანე-

[7] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=166.

ლოშიც აღნიშნულია, რომ სისხლის სამართლის პროცესში *„მონიტორინგის ერთ-ერთი მთავარი მიზანი მტკიცებულებების დასაშვებობის ან დაუშვებლად ცნობის ნაწილში მოსამართლის მიუკერძოებლობაა“.*[8] ანუ, ეს საკითხი ნამდვილად შეიძლება იქცეს მნიშვნელოვან პრობლემად, თუკი მკაცრად არ იქნება დაცული მტკიცებულებების მოპოვების წესი.

HURIDOCS-ი გვთავაზობს საკონტროლო კითხვების მოკლე სიას, რათა მკვლევარ-დოკუმენტალისტი დარწმუნდეს, რომ დოკუმენტირება სათანადოდ ჩატარდა:

- არის თუ არა ინფორმაცია ზუსტი და დადასტურებული?
- არის თუ არა დაუცველი ადამიანების კონფიდენციალურობა დაცული?
- არის თუ არა ცხადი თითოეული დასკვნის წყარო?
- სათანადოდ არის თუ არა შეფასებული დასკვნების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული რისკები?
- არის თუ არა მონაცემების უსაფრთხოება დაცული?

## ადამიანის უფლებათა დარღვევების დოკუმენტირება ტექნოლოგიების მეშვეობით

ეს არის ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების მიერ გამოყენებული ონლაინ ინსტრუმენტებისა და აპლიკაციების არასრული ჩამონათვალი:

- **KoBoToolbox:**[9] ღია კოდის პლატფორმა, ინსტრუმენტი, რომელიც განკუთვნილია მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და ვიზუალიზაციისთვის ჰუმანიტარულ, განვითარების და ადამიანის უფლებების კონტექსტში. ეს პლატფორმა გამოიყენება მონაცემთა შეგროვებისთვის როგორც ონლაინ, ისე ოფლაინ, რაც მკვლევარ-დოკუმენტალისტებს საშუალებას აძლევს, ინფორმაცია შეაგროვონ რთულ სიტუაციებშიც, როცა ინტერნეტზე ხელი არ მიუწვდებათ. ამ პლატფორმის უპირატესობა ის არის, რომ შესაძლებელია კითხვარების გე-

[8] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. 2021. სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის სახელმძღვანელო. https://tinyurl.com/2yhxk8ne.
[9] KoBoToolbox: Data Collection, Management, and Visualization Platform. https://www.kobotoolbox.org/.

ნერირება და სხვადასხვა მასალის ატვირთვა, ასევე, შეგროვებული მონაცემების ორგანიზება, ანალიზი და გაფილტვრა.

- **Martus:**[10] დაცული ღია კოდის პლატფორმა, ინსტრუმენტი, რომელიც შექმნილია ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციებისთვის დარღვევების შესახებ ინფორმაციის სამართავად და დოკუმენტირებისთვის. ამ პლატფორმის მთავარი უპირატესობა არის ის, რომ მას აქვს დაშიფრული მონაცემების საცავის ფუნქცია, ამასთანავე, შესაძლებელია მათი სარეზერვო ასლების შექმნა და განთავსება უსაფრთხო ადგილზე.
- **გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები**[11] (GIS - Geographic Information Systems): გამოიყენება ადამიანის უფლებათა დარღვევის ინციდენტების რუკებისა და ვიზუალური კონტექსტის შესაქმნელად. ეს ტექნოლოგია ბევრ ინსტრუმენტშია ინტეგრირებული.
- **Uwazi:**[12] ღია კოდის პლატფორმა, რომელიც HURIDOCS-ის მიერ არის შექმნილი ადამიანის უფლებათა დარღვევების დოკუმენტირების მეთოდოლოგიასთან ერთად. ის ძირითადად გამოიყენება ინფორმაციის შეგროვების, ორგანიზებისა და ანალიზისთვის, თუმცა, აღსანიშნავია, რომ მისი საქმეების მართვის კომპონენტი ადამიანის უფლებების დარღვევებთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაშიც გამოიყენება.

## დოკუმენტირების დაწყება და მისი ეტაპები

მკვლევარ-დოკუმენტალისტმა, პირველ ყოვლისა, უნდა განსაზღვროს, რა ინფორმაცია სჭირდება. ამის შემდეგ კი ეს ინფორმაცია უნდა მოიპოვოს და სათანადოდ შეინახოს. ინფორმაციის ანალიზი და მისი გამოყენება დოკუმენტირების ბოლო ეტაპია.

ადამიანის უფლებათა დარღვევების დოკუმენტირებას დიდი დრო და რესურსი სჭირდება. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ მკვლევარ-დოკუმენტალისტმა სწორად გადაანაწილოს დრო და რესურსი, რათა თავი

[10] Martus: Secure Information Management for Human Rights Documentation. https://www.martus.org/.
[11] მაგალითად, ArcGIS. https://www.esri.com/en-us/arcgis/geospatial-platform/overview.
[12] HURIDOCS. Uwazi: Flexible Database for Human Rights Documentation, https://huridocs.org/technology/uwazi/.

დაიცვას ემოციური გადაწვისგან. რეკომენდებულია, დაიწყოს იმ მასალების გადახედვით, რომლებიც უკვე აქვს. ეს დაეხმარება, აღმოაჩინოს ხარვეზები, რომელთა შევსებაც სჭირდება, იმავდროულად, დაზოგავს დროსაც.

მკვლევარ-დოკუმენტალისტს მიზნის მისაღწევად შეიძლება ინფორმაცია დასჭირდეს სხვადასხვა ფორმით. ამასთანავე, შესაძლოა, ამ ინფორმაციას ჰქონდეს სხვადასხვა დანიშნულება - მაგალითად, ერთი და იგივე ვიდეოჩანაწერი გამოყენებული იყოს როგორც სასამართლოში, როგორც მტკიცებულება, ასევე, სტატიაში, რომელიც საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში გამოქვეყნდება. შესაბამისად, მკვლევარ-დოკუმენტალისტმა წინასწარ უნდა გაითვალისწინოს ეს გარემოება და ერთი და იგივე მასალა სხვადასხვა ფორმით შეინახოს. გარდა ამისა, სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელსაც მას მსხვერპლი ან მოწმე მიაწოდებენ, აუცილებლად უნდა გადაამისამართოს შესაბამის პირებთან, რომლებსაც აქვთ მტკიცებულებების სათანადო წესით, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის დაცვით მოპოვების შესაძლებლობა.

მნიშვნელოვანია, რომ მკვლევარმა ყოველთვის იფიქროს, რა ინფორმაციის გამჟღავნება შეუქმნის საფრთხეს მსხვერპლებს და მოწმეებს. **ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა, უშუალოდ დოკუმენტირებაზე მომუშავე პირების დაცვაც გახდეს საჭირო, რათა ადამიანის უფლებათა დამრღვევების მიერ მადისკრედიტებელი კამპანიის ან სხვა მტრული ჩარევის სამიზნედ არ იქცნენ.**

დოკუმენტირების კატეგორიული იმპერატივია იმ პირების სწორი ინფორმირება, რომლებიც ადამიანის უფლებათა დარღვევების მსხვერპლები გახდნენ. მათი ინფორმირებული თანხმობა დოკუმენტირების ქვაკუთხედია. მათ ცხადად უნდა ესმოდეთ, რატომ ხორციელდება დოკუმენტირება, რა ბედი ელის მათ შესახებ მონაცემებს, რა უფლებები აქვთ მათ მიერ მოწოდებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით. მკვლევარ-დოკუმენტალისტი პასუხისმგებელია რესპონდენტის უსაფრთხოებაზე. მან ყოველთვის პატივი უნდა სცეს მსხვერპლის ან მოწმის  უფლებას, თავად გადაწყვიტოს, სურს თუ არა ან როგორ სურს საკუთარი ისტორიის გამოყენება.

კითხვები, რომლებსაც პასუხი უნდა გაეცეს მკვლევარ-დოკუმენტალისტის მიერ დოკუმენტირების პროცესის სწორად დაგეგმვისა და წარმართვისთვის:

- რა მიზნის მიღწევა გსურთ დოკუმენტირებით?
- რა დოკუმენტები გაქვთ უკვე და როგორ ემსახურება ის ამ პროცესში თქვენს მიზნებს?
- ვინ არის თქვენი დოკუმენტირების სამიზნე აუდიტორია?
- როგორ შეაგროვებთ ინფორმაციას?
- როგორ დაიცავთ ინფორმაციის უსაფრთხოებას?
- როგორ უზრუნველყოფთ, რომ ინფორმაცია იყოს მაქსიმალურად სასარგებლო/გამოსადეგი?
- როგორ შეამცირებთ ან მართავთ რისკებს, რომელთა წინაშეც შეიძლება დადგნენ მკვლევარ-დოკუმენტალისტები?

## ინტერვიუს ჩატარება ეთიკური ნორმების დაცვით

მკვლევარ-დოკუმენტალისტმა ყოველთვის პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს რესპონდენტის უსაფრთხოებას და დაცულობას. მან ფრთხილად უნდა შეარჩიოს ინტერვიუს ჩატარების ადგილი, რათა პროცესის კონფიდენციალურობა დაცული იყოს. ამასთანავე, აუცილებლად უნდა მოიპოვოს ინფორმირებული თანხმობა და მკაფიოდ ახსნას დოკუმენტირების მიზანი. ინტერვიუები ისე უნდა დაიგეგმოს, რომ რესპონდენტს საკმარისი დრო ჰქონდეს ყველა შესაბამისი ფაქტის გადმოსაცემად და საკუთარი მოსაზრებების გამოსახატად. განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა წარიმართოს ინტერვიუ მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებთან. ასეთი ინტერვიუ უნდა ჩატარდეს მხოლოდ შესაბამისი გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მქონე პირების მიერ.[13] ზოგ შემთხვევაში, გამოყენებული უნდა იყოს სპეციალური მეთოდოლოგიური მიდგომები.[14]

ადამიანის უფლებათა არსებითი დარღვევების სამოქალაქო მონიტორინგის სახელმძღვანელოს[15] მიხედვით, ინტერვიუს ჩატარების

[13] **WITNESS Media Lab.** n.d. Interviewing with Care: Documenting Stories of State Violence. https://lab.witness.org/documentingwithcare/.

[14] **Public International Law & Policy Group.** 2016. Handbook on Civil Society Documentation of Serious Human Rights Violations: Principles & Best Practices. https://static1.squarespace.com/static/5900b58e1b631bffa367167e/t/59dfab4480bd5ef9add73271/1507830600233/Handbook-on-Civil-Society-Documentation-of-Serious-Human-Rights-Violations_c.pdf.

[15] **United Nations Office on Drugs and Crime.** 2009. Anti-human Trafficking Manual for Criminal Justice Practitioners, Module 8: Interviewing Victims of Trafficking in Persons Who Are Potential Witnesses. https://www.unodc.org/documents/human-trafficking/TIP_module8_Ebook.pdf.

ხუთი ეტაპი არსებობს, რომელიც ცნობილია, როგორც PEACE:[16]

1. დაგეგმვა და მომზადება;
2. მსხვერპლთან/მოწმესთან დაკავშირება;
3. ინფორმაციის მოპოვება;
4. ინტერვიუს სათანადოდ დასრულება;
5. ინტერვიუს შემდგომი შეფასება.

მნიშვნელოვანია, რომ მკვლევარ-დოკუმენტალისტმა სათანადო დრო მისცეს მსხვერპლს/მოწმეს, რათა მან ადაპტირება მოახერხოს და უსაფრთხოდ, კომფორტულად იგრძნოს თავი. ინტერვიუს ადგილი არ უნდა იყოს ვიდეო თვალთვალის ქვეშ და რესპონდენტს უნდა გაუჩნდეს კონფიდენციალურობის დაცვის რწმენა. რაც შეეხება მსხვერპლთან დაკავშირებას, სასურველია მკვლევარ-დოკუმენტალისტმა პირველადი კომუნიკაციის დროს მხოლოდ ძირითადი ინფორმაცია მოიპოვოს და ინტერვიუს თარიღსა და დროზე შეუთანხმდეს. პირველი გასაუბრება ნდობის შესაქმნელად უნდა იყო გამოყენებული. უშუალოდ ინტერვიუს ჩასატარებლად კი მკვლევარ-დოკუმენტალისტმა შემდეგი ნაბიჯები უნდა გადადგას:

- მიიღოს ინფორმირებული თანხმობა;
- წარადგინოს საკუთარი თავი და ორგანიზაცია, რომლის ფარგლებშიც დოკუმენტირებაზე მუშაობს, ასევე, მიაწოდოს ინფორმაცია თავისი პროფესიული გამოცდილების შესახებ;
- წარადგინოს ყველა დამსწრე, ახსნას მათი იქ ყოფნის მიზეზი;
- გააცნოს ინტერვიუს მიზანი;
- უპასუხოს რესპონდენტის ყველა კითხვას ან წუხილს;
- განმარტოს ინტერვიუს ხანგრძლივობა და შუალედებში შესვენების შესაძლებლობა;
- განიხილოს რესპონდენტთან, შესაძლებელია თუ არა ინტერვიუს ჩაწერა და რა ფორმით;
- მისცეს რესპონდენტს უფლება, დაეთანხმოს ან უარყოს, უპასუხოს ან უარი თქვას პასუხზე, დასვას კითხვები ან მოითხოვოს ინფორმაციის გამეორება.

[16] Planning & Preparation; Engaging with the victim/witness; Obtaining the Account; Closing an interview appropriately; Conducting an Evaluation after the interview took place.

მკვლევარ-დოკუმენტალისტმა, თავდაპირველად, რესპონდენტს უნდა მისცეს საშუალება, თავისუფალი თხრობის რეჟიმში გაიხსენოს მომხდარი. უმჯობესია, ჯერ ზოგადი საკითხებით დაიწყოს და შემდეგ შეეხოს მტკივნეულ თემებს, მერე კი ისევ მიუბრუნდეს ზოგად საკითხებს. მკვლევარ-დოკუმენტალისტმა რესპონდენტს საჭიროზე მეტი დეტალი არ უნდა გამოჰკითხოს, რადგან მომავალში მან შეიძლება ყველა წვრილმანი ვეღარ გაიხსენოს, რაც სისხლის სამართლის პროცესში გამოწვევად იქცევა.

მკვლევარ-დოკუმენტალისტმა ინტერვიუს დროს ყურადღება უნდა მიაქციოს საკუთარი ხმის ტემბრს და ტონს. მან რესპონდენტის მიმართ უნდა გამოავლინოს პატივისცემა, მოთმინება, ემპათია და არა შეცოდება, უნდა იყოს მაქსიმალურად თავაზიანი და ყურადღებიანი.

ადამიანის უფლებათა არსებითი დარღვევების სამოქალაქო მონიტორინგის სახელმძღვანელო ინტერვიუს დროსაც გვთავაზობს Five Ws and H მოდელის გამოყენებას. ინტერვიუს კონტექსტში კითხვები - ვინ, რა, როდის, სად, რატომ და როგორ - ასე გამოიყურება:

1. What - რა მოხდა?
2. Where - სად მოხდა?
3. When - როდის მოხდა?
4. Who - ვინ იყო იქ კიდევ?
5. Why - რატომ გააკეთეს ეს, თქვენი აზრით?
6. How - როგორ იგრძენით თავი ამის გამო?

გარდა ამისა, იმავე სახელმძღვანელოში მოცემულია კითხვების სტრუქტურირების კიდევ ერთი მეთოდი, რომელსაც TEDS[17] ჰქვია:

**Tell - თქმა -** შეგიძლიათ, მითხრათ, ზუსტად რა მოხდა?

**Explain - ახსნა -** შეგიძლიათ, ამიხსნათ, შემდგომ რა მოხდა?

**Describe - აღწერა -** შეგიძლიათ, აღწეროთ, როგორ გამოიყურებოდა ის პიროვნება?

**Show - ჩვენება** - შეგიძლიათ, მაჩვენოთ ამ რუკაზე, სად მოხდა ეს?

რაც შეეხება ინტერვიუს დასრულებას და შეფასებას, მკვლევარ-დოკუმენტალისტმა რესპონდენტს უნდა მისცეს საშუალება, თავადაც

[17] Tell. Explain. Describe. Show.

დასვას კითხვები ინტერვიუს შესახებ, მათი არსებობის შემთხვევაში. შეჯამების დროს კი უნდა ეცადოს, რომ რესპონდენტის სიტყვები გამოიყენოს. სასურველია, კიდევ ერთხელ შეეხოს საუბარი ინფორმირებული თანხმობის საკითხს და შემოწმდეს, ხომ არ გადაიფიქრა რესპონდენტმა.

## ძალადობის მსხვერპლთან ინტერვიუ

მკვლევარ-დოკუმენტალისტს განსაკუთრებული მგრძნობელობის გამოვლენა სჭირდება ძალადობის მსხვერპლთან ინტერვიუს დროს, რადგან, ემოციური დისკომფორტის გარდა, შესაძლოა, ინტერვიუმ მსხვერპლის ხელახალი ტრავმირება გამოიწვიოს. ინტერვიუში მონაწილეობის გამო, შეიძლება არსებობდეს შურისძიების რისკებიც, ამიტომ, მკვლევარ-დოკუმენტალისტმა კარგად უნდა გაცნობიეროს ეს რისკები და გაეცნოს შესაბამის ინფორმაციას ძალადობის მსხვერპლთან მუშაობის შესახებ. სასურველია ფსიქოლოგთან წინასწარი კონსულტაციაც.

მკვლევარ-დოკუმენტალისტმა ყოველთვის უნდა შექმნას კომფორტული და უსაფრთხო გარემო. ძალადობაგამოვლილ ქალებს უნდა მიეცეთ არჩევანი, მათთან ინტერვიუ ჩაატაროს ქალმა. გარდა ამისა, მათ მკაფიოდ უნდა განემარტოთ, რომ, შესაძლოა, მომავალში საჭირო იყოს მტკიცებულებების მიწოდება გამოძიების ორგანოებისა თუ სასამართლოსთვის. მკვლევარ-დოკუმენტალისტმა ყურადღება უნდა მიაქციოს, ხომ არ იწვევს ინტერვიუ სტრესს ან აცოცხლებს ტრავმას. ასეთ დროს ის მზად უნდა იყოს, შეწყვიტოს ინტერვიუ, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მსხვერპლი გადაამისამართოს მხარდამჭერი სერვისების მიმწოდებელ ორგანიზაციასთან.

სექსუალური და გენდერზე დაფუძნებული ძალადობის მსხვერპლის გამოკითხვა მკვლევარ-დოკუმენტალისტს შეიძლება საველე პირობებში მოუწიოს. თუმცა, ეს მხოლოდ და მხოლოდ სპეციალური პროფესიული განათლების და გამოცდილების მქონე ადამიანმა უნდა გააკეთოს. სექსუალური ძალადობის მსხვერპლთან მუშაობას თან უნდა ახლდეს სამედიცინო და ფსიქოლოგიური სერვისის მიწოდებაც. კითხვები, რომლებიც შეიძლება დაისვას, არის შემდეგი:

- შეგიძლიათ, დეტალურად გაიხსენოთ, რა მოხდა? რას გრძნობდით იმ დროს? ვიცი, რომ ეს შეიძლება რთული იყოს, ამიტომ არ იჩქაროთ.

- შეგიძლიათ, აღწეროთ, რა ხდებოდა თქვენ მიერ მოყოლილ ფაქტამდე, ფაქტის დროს და ფაქტის შემდეგ?
- შეგიძლიათ, აღწეროთ, როგორ მოხდა თავდასხმა, რომლის შესახებაც საუბრობთ?
- რა მოხდა თავდაპირველად და რა მოხდა შემდეგ?
- თავდასხმისთვის რამე თავისებურება ხომ არ შეგიმჩნევიათ?
- რამ მიგიყვანათ ამ დასკვნამდე?
- სხვა მსგავს თავდასხმებს ხომ არ შესწრებიხართ?
- შეგიძლიათ, აღწეროთ ისინი, ვინც იმ ქმედებებს ახორციელებდა, რომლებზეც თქვენ მომიყევით?
- შეგიძლიათ, აღწეროთ მათი ტანსაცმელი? რაიმე ნიშანი, ქუდი, ფეხსაცმელი, რას ატარებდნენ? რაიმე გამორჩეული დეტალი ხომ არ გახსენდებათ, მაგალითად, იარაღი, აღჭურვილობა, ტრანსპორტი, რა ენაზე საუბრობდნენ და ა.შ.
- გქონდათ შესაძლებლობა, დაჰკვირვებოდით, ვინმეს ლიდერის პოზიცია ხომ არ ჰქონდა? საიდან იცით, ან როგორ დაასკვენით, რომ ეს პირი ლიდერი იყო?

როგორც ყველა არსებული სახელმძღვანელო დოკუმენტი, საერთაშორისო პროტოკოლი „კონფლიქტში სექსუალური ძალადობის დოკუმენტირებისა და გამოძიების შესახებ“ ასევე სიფრთხილისკენ მოუწოდებს მკვლევარ-დოკუმენტალისტებს. ამ დოკუმენტის მიხედვით, „ზოგჯერ, მსხვერპლთა ან მოწმეთა ინტერვიუ აუცილებელი არ არის და, შესაძლოა, არც იყოს რეკომენდებული. ამიტომ, პრაქტიკოსებმა ცხადად უნდა ახსნან, რატომ ატარებენ ინტერვიუს. მსხვერპლებსა და მოწმეებთან ინტერვიუ უნდა ჩატარდეს მხოლოდ შესაბამისი მომზადებისა და გამოცდილების მქონე პირების მიერ. **ინტერვიუ არ არის დაკითხვა“.**[18]

[18] **Foreign & Commonwealth Office.** 2017. *International Protocol on the Documentation and Investigation of Sexual Violence in Conflict: Best Practice on the Documentation of Sexual Violence as a Crime or Violation of International Law, Second Edition. https://www.un.org/sexualviolenceinconflict/wp-content/uploads/2019/06/report/international-protocol-on-the-documentation-and-investigation-of-sexual-violence-in-conflict/International_Protocol_2017_2nd_Edition.pdf.*

## რა უნდა გააკეთოს მკვლევარ-დოკუმენტალისტმა ინფორმირებული თანხმობის მოსაპოვებლად?

მკვლევარ-დოკუმენტალისტმა ყოველთვის საჭირო დრო უნდა დაუთმოს ინფორმირებული თანხმობის მიღებას, რათა დარწმუნდეს, რომ რესპონდენტებს გააზრებული აქვთ დოკუმენტირების პროცესი.

ადამიანის უფლებების დარღვევის მსხვერპლებისა და მოწმეებისთვის ცხადი უნდა იყოს, რა მიზნით ხორციელდება დოკუმენტირება, რა ბედი ეწევა მათ შესახებ ინფორმაციას, რა უფლებები აქვთ ინტერვიუს დროს და მისი დასრულების შემდეგ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოპოვებული ინფორმაციის მესამე პირებისთვის გაზიარების შემთხვევაში. **მკვლევარ-დოკუმენტალისტმა რესპონდენტის ინტერესი დოკუმენტირების პროცესის ინტერესზე მაღლა უნდა დააყენოს.**

ინტერვიუს დაწყებამდე მკვლევარ-დოკუმენტალისტმა უნდა წარადგინოს საკუთარი თავი და ის ორგანიზაცია, რომლის ფარგლებშიც დოკუმენტირებას ატარებს. მან უნდა აღწეროს ორგანიზაციის საქმიანობა, ასევე, გაასაჯაროოს ნებისმიერი მისი კავშირი/აფილიაცია, მაგალითად, რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციასა ან მოძრაობასთან. რესპონდენტს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, თავად შეაფასოს ორგანიზაციის რეპუტაცია და სანდოობა. მკვლევარ-დოკუმენტალისტმა აგრეთვე უნდა ახსნას ინტერვიუს მიზანი, პროცესი და მიღებული ინფორმაციის გამოყენების გეგმა. რესპონდენტს ამით საშუალება ეძლევა, თავად განჭვრიტოს, რა ინფორმაციის გაზიარება მოუწევს მომავალშიც, თუკი მისი ისტორია გამოყენებული იქნება თავდაპირველი მიზნისგან განსხვავებული გზით. აუცილებელია, აქვე აღინიშნოს, რომ, ამ შემთხვევაში, ორგანიზაციამ მისგან განახლებული ინფორმირებული თანხმობა უნდა მიიღოს. რესპონდენტს ასევე უფლება აქვს, იცოდეს, ვინ გამოიყენებს და ვის ექნება წვდომა მის ინფორმაციაზე. მკვლევარ-დოკუმენტალისტმა რესპონდენტს უნდა მოუყვანოს კონკრეტული მაგალითები, სად იქნება ასახული მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია.

დოკუმენტირების პროცესში მსხვერპლის ან მოწმის მონაწილეობა ყოველთვის ნებაყოფლობითი უნდა იყოს. მკვლევარ-დოკუმენტალისტი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს ხარჯების ანაზღაურებასაც, რათა ინტერვიუ არ იყოს აღქმული, როგორც ტრანზაქციული გარიგება. დოკუმენტირების პროცესში ჩართულმა პირებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ შეუძლიათ, უარი თქვან ინტერვიუში მონაწილეობაზე, ან შე-

წყვიტონ ინტერვიუს მიცემა ნებისმიერ დროს. რესპონდენტებს ასევე უნდა ეცნობოთ, რომ გასაუბრების შემდეგ, შეუძლიათ, დაუკავშირდნენ მკვლევარ-დოკუმენტალისტს ან ორგანიზაციას, რათა დასვან ნებისმიერი შეკითხვა ინფორმაციის გამოყენებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მათ უფლება აქვთ, გაეცნონ ჩანაწერს და ცვლილება შეატანინონ მასში, ასევე, საერთოდ გააუქმონ მათი თანხმობა მონაწილეობაზე.

მკვლევარ-დოკუმენტალისტმა რესპონდენტს უნდა აუხსნას, როგორ იცავს ორგანიზაცია პერსონალურ მონაცემებს, ასევე, რა შემთხვევაში და ვის შეიძლება მიუწვდებოდეს ხელი მის პირად ინფორმაციაზე. შესაძლებელია, ინფორმირებული თანხმობა მოპოვებული იყოს აგრეთვე ანგარიშში პირის იდენტიფიცირებასა ან მის ციტირებაზე.

სასურველია, ინფორმირებული თანხმობა მოპოვებული იყოს წერილობით. მკვლევარ-დოკუმენტალისტი უნდა დარწმუნდეს, რომ რესპონდენტებს საკმარისი დრო აქვთ ტექსტის წასაკითხად და გასაგებად, ასევე, ნებისმიერი შეკითხვის დასასმელად. თუ გარკვეული მიზეზების (მაგალითად, თუ რესპონდენტმა წერა-კითხვა არ იცის) გამო, საჭიროა ზეპირი ინფორმირებული თანხმობის მიღება, უნდა მოხდეს მისი აუდიო ან ვიდეო დოკუმენტირება.

არასრულწლოვანთან ინტერვიუს შემთხვევაში, მკვლევარ-დოკუმენტალისტი ინფორმირებულ თანხმობას იღებს მისი კანონიერი წარმომადგენლისგან.

## ინფორმაციის შენახვა

ინფორმაციის შენახვა გულისხმობს დოკუმენტების შენახვას, ორგანიზებას და დაცვას. ეს პრაქტიკა მკვლევარ-დოკუმენტალისტებს საშუალებას აძლევს, ხელი მიუწვდებოდეთ მათივე ხელთ არსებულ დოკუმენტაციაზე. შენახვა ასევე ნიშნავს ინფორმაციის მოძიების გამარტივებას, აგრეთვე, მოპოვებული მასალებისა და ისტორიების დაარქივებას და მათზე გრძელვადიანი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. ეს მნიშვნელოვანი პროცესია და მოიცავს ციფრული თუ ფიზიკური საცავის შექმნას, არქივის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებას. დაარქივება შეიძლება დიდ დროს და რესურსს მოითხოვდეს, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ მართლმსაჯულების პროცესი ხანგრძლივია, შესაძლოა, გარკვეული დრო დასჭირდეს მკვლევარ-დოკუმენტალისტის მიერ შეგროვებული ინფორმაციისა და ისტორიების რეალურად გამოყენებასაც.

## ინფორმაციის გამოყენება

მკვლევარ-დოკუმენტალისტების მიერ მოპოვებული და დამუშავებული ინფორმაციის გამოყენება ნიშნავს მის მიწოდებას იმ პირებისთვის, რომლებსაც შეუძლიათ შესაბამისი ზომების მიღება აღწერილ დარღვევებთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, არანაკლებ მნიშვნელოვანი პროცესია მონაცემების ისე წარდგენა, რომ მათ დაადასტურონ ანგარიშის ძირითადი მიგნებები და მსჯელობა. ინფორმაციის გამოქვეყნებისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ყველა ის გარემოება, რომელიც საფრთხის წინაშე აყენებს როგორც დაზარალებულებს, ასევე თავად მკვლევარ-დოკუმენტალისტებს ან ორგანიზაციას, რომელიც დოკუმენტირების მისიას ახორციელებს.

სასურველია, ორგანიზაციამ აღწეროს და გამოაქვეყნოს ინფორმაცია მის მიერ გამოყენებული მიდგომებისა ან მეთოდების შესახებ. ასევე წინასწარ უნდა იყოს გააზრებული ისიც, როგორ იცავენ, ან იცავენ თუ არა, გარკვეული წყაროების საიდუმლოებას მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის ან რაიმე გაუგებრობის შემთხვევაში, რაც შეიძლება ანგარიშის შინაარსმა გამოიწვიოს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ანგარიშში გამოყენებული ენა იყოს ხელმისაწვდომი, ინკლუზიური და პირველ ადგილზე დააყენოს იმ ხალხის ინტერესები, რომელთა უფლებებიც დაირღვა. გამოქვეყნების შემდეგ ორგანიზაცია ინფორმაციას უკვე ვეღარ აკონტროლებს, რადგან სხვადასხვა ფორმით მისი შენახვა ყველას შეუძლია. **შესაბამისად, ანგარიშის გასაჯაროებამდე მკვლევარ-დოკუმენტალისტებს დიდი სიფრთხილის გამოჩენა სჭირდებათ.**

## დანართი №1 – ინფორმირებული თანხმობის ფორმა

თანხმობა ინტერვიუში მონაწილეობაზე

რესპონდენტის სახელი და გვარი: _____

ინტერვიუერის სახელი და გვარი: _____

თარიღი: _____

☐ მე ვარ 18 წლის ან მეტი ასაკის (თუ ასაკი 18-ზე ნაკლებია, საჭიროა კანონიერი წარმომადგენლის დამატებითი თანხმობა).

☐ მე მესმის, ვინ წარმართავს ინტერვიუს და რატომ ვიღებ მასში მონაწილეობას.

☐ ჩემი მონაწილეობა ინტერვიუში ნებაყოფლობითია. მე მესმის, რომ უარის თქმის შემთხვევაში არაფერი მემუქრება.

☐ მე მესმის, რომ ნებისმიერ დროს შემიძლია, შევაწყვეტინო ინტერვიუ, ასევე, უარი ვთქვა კითხვებზე პასუხის გაცემაზე.

შეზღუდვები

☐ მე მესმის, რომ შემიძლია დავაწესო შეზღუდვები ინტერვიუს გადაღებაზე, ჩაწერასა და გამოყენებაზე.

☐ მე ვეთანხმები ჩემი სახის/გამოსახულების გადაღებას, ჩაწერასა და გამოყენებას.

(☐ არ ვეთანხმები ჩემი სახის/გამოსახულების გადაღებას, ჩაწერასა და გამოყენებას).

☐ მე ვეთანხმები ჩემი ხმის ჩაწერასა და გამოყენებას.

(☐ არ ვეთანხმები ჩემი ხმის ჩაწერასა და გამოყენებას).

☐ მე ვეთანხმები ჩემი სრული სახელის გამოყენებას.

(☐ არ ვეთანხმები ჩემი სრული სახელის გამოყენებას).

☐ მე ვითხოვ შემდეგი დამატებითი შეზღუდვების დაწესებას ამ ჩანაწერების გამოყენებაზე:

---

---

 მე მესმის, რომ, თუ ვითარება შეიცვალა და სურვილი მექნება, გავაუქმო თანხმობა, უნდა დავუკავშირდე მკვლევარ-დოკუმენტალისტებს, რომლებიც შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებენ ჩემს მოთხოვნას.

გამოყენება

 მე მესმის, რომ გამოყენება შეიძლება მოიცავდეს ასლების გადაღებას, გამოფენას, გაშუქებას და დაარქივებას, მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებისმიერ მედიაში, როგორც ამჟამად არსებულში, ასევე მომავალში შექმნილში, მსოფლიოს მასშტაბით. გამოყენების მაგალითებში შედის სატელევიზიო მაუწყებლობა, ინტერნეტში განთავსება, საჯარო ჩვენებები, ანგარიშებსა და სასამართლო საქმეებში ჩართვა და გრძელვადიანი შენახვა/წვდომა არქივში.

 მე ვეთანხმები ამ ჩანაწერების გამოყენებას ვიდეო ადვოკატირების კამპანიაში: _____, ამ დოკუმენტში მოცემული შეზღუდვების გათვალისწინებით.

 მე ვეთანხმები მკვლევარ-დოკუმენტალისტების მიერ ამ ჩანაწერების გამოყენებას სხვა მიზნებისთვისაც, ამჟამად და მომავალშიც, ამ დოკუმენტში მოცემული შეზღუდვების გათვალისწინებით.

 მე ვეთანხმები მკვლევარ-დოკუმენტალისტების უფლებას, გადასცენ ჩანაწერების გამოყენების უფლება მესამე პირებს, ამ დოკუმენტში მოცემული შეზღუდვების გათვალისწინებით.

 მე მესმის, რომ ციფრული ჩანაწერების ბუნებიდან გამომდინარე, არსებობს რისკი, რომ ნებისმიერმა პირმა შეიძლება მოიპოვოს, იხილოს ან ხელახლა გამოიყენოს ეს ჩანაწერები და მათში არსებული დაცული ინფორმაცია ჩემი ან  მკვლევარ-დოკუმენტალისტების თანხმობის გარეშე.

| მკვლევარ-დოკუმენტალისტი | რესპონდენტი |
|---|---|
| ხელმოწერა: ---------- | ხელმოწერა: ---------- |
| სახელი: ---------- | სახელი: ---------- |
| ორგანიზაცია: ---------- | ორგანიზაცია: ---------- |
| თარიღი: ---------- | თარიღი:---------- |

## დანართი №2 – ბიბლიოგრაფია/დამატებითი რესურსები


- **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.** 2022. *აკადემიური წერა.* https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%20-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AB%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D.pdf_01722851397.pdf.

- **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.** 2020. *მსხვერპლისთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევა.*

  http://nodiscrimination.gyla.ge/files/news/2008/%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9E%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A1%E1%83%9C%E1%83%90-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90-Final.pdf.

- **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.** 2024. *სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გზამკვლევი: საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის წარსადგენი ალტერნატიული ანგარიშების მომზადება.*

  https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%96%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%92%E1%83%96%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98.pdf.

- **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.** 2021. *სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის სახელმძღვანელო.*

  https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AB%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D.pdf.crdownload

- **წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი.** 2024. *საპროტესტო აქციებისა და დაკავების დროს წამებისა და არაჰუმანური მოპყრობის მტკიცებულებების შეგროვების ილუსტრირებული გზამკვლევი.* https://gcrt.ge/publications/%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%9e%e1%83%a0%e1%83%9d%e1%83%a2%e1%83%94%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%9d-%e1%83%90%e1%83%a5%e1%83%aa%e1%83%98%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%90-%e1%83%93%e1%83%90/.

- **წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი.** 2024. *პროტესტისა და დაკავების დროს ძალის გადამეტებული გამოყენების, არასათანადო მოპყრობისა და წამების დოკუმენტირებისა და შეტყობინების ფორმა.* https://gcrt.ge/%e1%83%9e%e1%83%a0%e1%83%9d%e1%83%a2%e1%83%94%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%90-%e1%83%93%e1%83%90-%e1%83%93%e1%83%90%e1%83%99%e1%83%90%e1%83%95%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98%e1%83%a1-2/

- **D'Alessandra, Federica, and Sander Couch.** *Handbook on Civil Society Documentation of Serious Human Rights Violations.* Public International Law & Policy Group (PILPG). https://www.vu.nl/nl/Images/PILPG_Handbook_on_Civil_Society_Documentation_of_Serious_Human_Rights_Violations_Sept_2016_tcm289-785328.pdf.

- **Delbert.** 2022. Techniques for Verifying and Fact-Checking Information in Investigative Work. https://cpijournalism.org/reporting-verification-fact-checking/.
- **Foreign & Commonwealth Office.** 2017. *International Protocol on the Documentation and Investigation of Sexual Violence in Conflict: Best Practice on the Documentation of Sexual Violence as a Crime or Violation of International Law, Second Edition.* *https://www.un.org/sexualviolenceinconflict/wp-content/uploads/2019/06/report/international-protocol-on-the-documentation-and-investigation-of-sexual-violence-in-conflict/International_Protocol_2017_2nd_Edition.pdf.*
- **HURIDOCS.** *Uwazi: Flexible Database for Human Rights Documentation* https://huridocs.org/technology/uwazi/.
- **International Bar Association.** 2009. *Guidelines on International Human Rights Fact-Finding Visits and Reports ("Lund-London Guidelines").* https://www.refworld.org/policy/legalguidance/ibahri/2009/en/67896.
- **KoBoToolbox.** *Data Collection, Management, and Visualization Platform.* https://www.kobotoolbox.org/.
- **Martus.** *Secure Information Management for Human Rights Documentation.* https://www.martus.org/.
- **Moon, Claire.** 2012. *What One Sees and How One Files Seeing: Human Rights, Representation and Action.* https://www.researchgate.net/publication/258188838_What_One_Sees_and_How_One_Files_Seeing_Human_Rights_Reporting_Representation_and_Action1.
- **OHCHR and Human Rights Center, University of California, Berkeley. 2022**. *Berkeley Protocol on Digital Open Source Investigations: A Practical Guide on the Effective Use of Digital Open Source Information in Investigating Violations of International Criminal, Human Rights and Humanitarian Law.* https://www.ohchr.org/sites/default/files/2024-01/OHCHR_BerkeleyProtocol.pdf
- **Silverman, Craig, and Merill Perlman.** 2014. *Verification Handbook.* https://library.witness.org/product/obtaining-informed-consent/.
- **United Nations Office on Drugs and Crime.** 2009. *Anti-human Trafficking Manual for Criminal Justice Practitioners, Module 8:*

*Interviewing Victims of Trafficking in Persons Who Are Potential Witnesses*. https://www.unodc.org/documents/human-trafficking/TIP_module8_Ebook.pdf

- **WITNESS Media Lab.** Interviewing with Care: Documenting Stories of State Violence. https://lab.witness.org/documentingwithcare/.